საქმის განხილვის ვადები სისხლის სამართლის საქმეებზე

ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს, ხოლო პატიმრობის საერთო ვადა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ჩათვლით, განაჩენის გამოტანამდე _ 9 თვეს.
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-293-ე მუხლების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში, იმავე სასამართლოში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 295-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო საჩივრისა და საქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს, ხოლო სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში გამოაქვს განაჩენი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 და 302-ე მუხლების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ შეიტანონ საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში, იმავე სასამართლოში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

საქმის განხილვის ვადები სამოქალაქო საქმეებზე

მოსამართლე ვალდებულია, სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება ამ სარჩელის მიღების შესახებ.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვეში, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე, განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა.

ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის შესახებ საქმეები, განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 თვეში.

საქმის განხილვის ვადები ადმინისტრაციულ საქმეებზე

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება გასაჩივრების ვადის ათვლის ერთნაირი წესი.

თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ, ან ეცნობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 12).

სააპელაციო სასამართლო

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას.

სააპელაციო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვეში, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა.

საკასაციო სასამართლო

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა ერთი თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში ამოწმებს, დაცულია თუ არა საკასაციო საჩივრის შეტანის ფორმალური საფუძვლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის შესაბამისად. შემდგომ ეტაპზე სასამართლო 3 თვის ვადაში ამოწმებს, დაცულია თუ არა საკასაციო საჩივრის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები _ მოცემული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლში. საჩივრის ფორმალური საფუძვლით დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და განხილვის ვადა შეადგენს 6 თვეს.